თავი 7

მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა

მუხლი 137

მიმდინარე გადახდები

მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების VIII მუხლის შესაბამისად არ დააწესებენ შეზღუდვებს და დაუშვებენ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში , მხარეებს შორის ნებისმიერ გადახდებსა და ტრანსფერებს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშზე.

მუხლი 138

კაპიტალის მოძრაობა

1. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან საგადასახდელო ბალანსის კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშთან მიმართებაში მხარეები უზრუნველყოფენ კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას იმ პირდაპირ ინვესტიციებთან, მათ შორის, უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება მიმღები მხარის კანონმდებლობის შესაბამისად იმ ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-6 თავის (დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია) დებულებების შესაბამისად და ინვესტირებული კაპიტალის და მისგან გამომდინარე ნებისმიერი მოგების განაღდებას ან რეპატრიაციას.

2. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან საგადასახდელო ბალანსის კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშზე განხორციელებულ გარიგებებთან მიმართებაში, გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გარიგებებისა, ამ შეთანხმების სხვა დებულებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე თითოეული მხარე უზრუნველყოფს:

   (a) იმ კრედიტებთან დაკავშირებული კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ისეთ კომერციულ გარიგებებს ან მომსახურების გაწევას, რომელშიც მონაწილეობს ერთ-ერთი მხარის რეზიდენტი;

(b) იმ კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, რომელიც უკავშირდება მხარის ინვესტორების პორტფელურ ინვესტიციებს, ფინანსურ სესხებსა და კრედიტებს.

მუხლი 139

დაცვითი ზომები

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც გადახდები ან კაპიტალის მოძრაობა იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ევროკავშირის ერთ ან მეტ წევრ სახელმწიფოში ან საქართველოში გაცვლითი კურსის პოლიტიკის ან მონეტარული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული სერიოზული სირთულეები, მათ შორის სერიოზული სირთულეები საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებით, მხარეებმა შეიძლება შემოიღონ დაცვითი ზომები არაუმეტეს ექვსი თვის ვადით, თუ ასეთი ზომები წარმოადგენს აუცილებლობას. მხარემ, რომელიც ახორციელებს დაცვითი ზომების შემოღებას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს და ასევე, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, ასეთი დაცვითი ზომების გაუქმების შესაბამისი ვადები.

მუხლი 140

გამარტივებისა და განვითარების დებულებები

1. მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები, მათ შორის კაპიტალის მოძრაობის გამარტივების მიზნით, რათა ხელი შეუწყონ ამ შეთანხმების მიზნების მიღწევას.

2. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან პირველი ოთხი წლის განმავლობაში მხარეებმა უნდა მიიღონ ზომები კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე ევროკავშირის წესების შემდგომი ეტაპობრივი გამოყენებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

3. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან მეხუთე წლის ბოლოს, ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით, უნდა განიხილოს მიღებული ზომები და განსაზღვროს შემდგომი ლიბერალიზაციის პირობები.